სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N01-100101

ქ. თბილისი

1 ოქტომბერი 2015წ.

ერთის მხრივ სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის თამარ ბაგრატიას სახით და მეორეს მხრივ შპს „განთიადი" (ს/კ 203833030) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა შენგელიას სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს!" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გაუწევს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის ატმის და ბანანის ტორტი მარცეპანით (30-40) (CPV - 15812000 - საკონდიტრო ნაწარმი და ნამცხვრები) მიწოდება.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართი N1-ში,რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს160 (ას სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1–ში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

6.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2015 წლის პირველ ოქტომბერს, არაუგვიანეს 17:00 საათისა.

6.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მისამართზე: ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N150.

6.4 მიმწოდებეი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს"მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი).

8 პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხაგადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთანდა ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო“	შპს „განთიადი“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.	ს/კ 203833030
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691	იურ. მის: თბილის, ლეონიძის ქ.10
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „კორ სტანდარტ ბანკი“
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	კოდი: KSBGGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა GE87KS0000000000047072
ტელ: 243 95 45	ტელ.: +995 322 395 689
Email: zaza_dvaladze@gmail.com	
თამარ ბაგრატია სააგენტოს უფროსი	ნანა შენგელია დირექტორი

2015 წლის პირველი ოქტომბრის N01-100101 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი N1

N	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულისფასი	საერთო ღირებულება
	2	3	4	5
1	ტორტი ხილის ტრანსპორტირება	1	160	160
	სულ ჯამი დღგ–სჩათვლით			160 (ას სამოცი) ლარი

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

თამარ ბაგრატია
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:
შპს „განთიადი“

ნანა შენგელია
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

1 ოქტომბერი 2015 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და შპს „განთიადი"-ს შორის 2015 წლის პირველი ოქტომბრის N01-100101 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

_____ თამარ ბაგრატია

_____ ზაზა დვალაძე

_____ დათო ქოჩიაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

46340334744212

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N121000242

რეგისტრაციის თარიღი

18.09.2012 წ

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია
მისამართი: ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
ტელეფონი: 2395715

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის თვრამეტ სექტემბერს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში, მომმართა ნანა შენგელიამ რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ჯამბულათ მამუკიანს (დაბადებული 15.03.1971წ. ზნაურში, პ/მ № ბ0321220 პირადი № 59002002873 გაცემული 21.02.2001წ. შიდა ქართლის სამხარეო შ/ს მთ. სამმართველოს მიერ, მისამართი: ზნაურის რ-ნის სოფ. გვირგვინა) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწმუნდი, რომ მე ნამდვილად ნანა შენგელიამ (დაბადებული 02.10.1956წ. თბილისში, პ/მ № დ1207370 პირადი № 01009003554 გაცემული 04.09.2008წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს საამსახურის მიერ მცხოვრები თბილისი, ა. ცაგარელის ქ. №13) მომმართა. მე შევამოწმე მარწმუნებლის ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და [illegible] განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მარწმუნებელმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას, რასაც ვამოწმებ: გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილება 31-ე მუხლის თანახმად ათი ლარი, აგრეთვე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური ორი ლარი თანახმად 39-ე მუხლის პირველი პუნქტის და დღგ 1.80 ლარი საგადასახადო კოდექსის 169-მუხლისა.

მინდობილობა

ორიათას თორმეტი წლის თვრამეტ სექტემბერს **ნანა შენგელიამ** შემდგომში წოდებული როგორც „მარწმუნებელი", ჯამბულათ მამუკიანს შემდგომში წოდებული როგორც „რწმუნებული" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1.იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, კომერციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში (საგ-დო ინსპექციაში), ქალაქის მერიაში, მერიის ნებისმიერ საამსახურში, მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, რაიონულ გამგეობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ნებისმიერ ინტერნეტ პროვაიდერთან ურთიერთობაში, სს "თელასში", შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისის"-ში, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებთან ურთიერთობაში ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, ამონაწერი და სხვა დოკუმენტი ან მისი დუბლიკატი, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, დაკავშირებული მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან.

2.ამ დავალების შესასრულებლად წარმოადგინოს ჩემი ინტერესები საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში და დაწესებულებაში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სამინისტროს ნებისმიერ სხვა შესაბამის სამსახურში, სოციალური მომსახურების ცენტრში (მის განყოფილებებში), ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერ ბანკში, /მის ფილიალში, სერვის-ცენტრში/.

3.შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

4.არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი, იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულების უფლებები ამოწურვადად არ არის ჩაფოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

5. მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მერაბ ფარჯიკიას სანოტარო არქივში ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

მიმნდობის ხელმოწერა: **ნანა შენგელია**

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია